winter report

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

2025

IT სექტორი საქართველოში: ტენდენციები და დასაქმებულთა პროფილი



შესავალი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, IT სექტორი საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგად ჩამოყალიბდა. ის არა მხოლოდ ეკონომიკაში იკავებს უფრო დიდ წილს, არამედ დივერსიფიცირდება და ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით.

ამ ანგარიშში, IT სექტორის ანალიზი სამი ძირითადი მიმართულებითაა წარმოდგენილი. პირველ რიგში, მოცემულია სექტორის ზრდის დინამიკა და ძირითადი მაჩვენებლები, ასევე განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც მის განვითარებას აჩქარებენ, დასკვნით ნაწილში კი გაანალიზებულია IT პროფესიებით დასაქმებულთა მახასიათებლები.

ანგარიში ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკას (საქსტატი და Statista), ავტორის გამოთვლებს და ინტერვიუებს სექტორის წარმომადგენლებთან. ინდიკატორები IT დასაქმებულთა პროფილის შესახებ გაანგარიშებულია საქსტატის გამოკვლევის „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში“ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მთავარი მიზანი IT სექტორის ვიწრო ანალიზია, არსებული სტატისტიკური შეზღუდვების გამო, ზოგ შემთხვევაში ანგარიშში მოცემულია გაერთიანებული მონაცემები სხვადასხვა ICT მიმართულებებისთვის (განმარტებები მოცემულია ანგარიშის შესაბამის გვერდებზე).

IT სექტორის ზრდა

IT სექტორი სწრაფად იზრდება, მისი წილი ეკონომიკაში უკვე შესამჩნევია

IT სექტორის მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულების წილი მშპ-ში



2023 წელს IT სექტორის შექმნილი დამატებითი ღირებულება 2.1 მილიარდი ლარი იყო და მშპ-ს 2.6% შეადგინა.

ეს მაგალითად უფრო მეტია, ვიდრე სამთომოპოვებითი მრეწველობის დამატებითი ღირებულება (1.9 მილიარდი ლარი)

* 2024 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით.
შენიშვნა: მონაცემები მოიცავს NACE Rev. 2-ის 62 (კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და შესაბამისი საქმიანობა) და 63 კოდებს (საინფორმაციო მომსახურების საქმიანობები).

საერთაშორისო კომპანიების შემოსვლის ორი ეფექტი



სექტორის ზრდის ერთ-ერთ მიზეზი საერთაშორისო კომპანიებისა და მუშახელის შემოსვლაა, რაც ძირითადად გეოპოლიტიკურ გარემოს უკავშირდება. ბაზრის წარმომადგენელთა აზრით, ეს ადგილობრივი მოთამაშეებისთვის კონკურენციის ზრდასთან ერთად ახალ შესაძლებლობებსაც ქმნის.

წყარო: გაანგარიშებები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ინტერვიუები სექტორის წარმომადგენლებთან.

IT სექტორის ზრდა

IT სერვისები უკვე მნიშვნელოვანი საექსპორტო მომსახურებაა



2020-2023 წლებში,
ICT მომსახურების ექსპორტი თითქმის 8-ჯერ გაიზარდა.

მისი ექსპორტი მნიშვნელოვნად აღემატება ფინანსური სერვისების ექსპორტს, მაგრამ ჩამორჩება ტრანსპორტირების ექსპორტს.

IT სექტორის ზრდა

IT სერვისების ექსპორტი ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება

რომელ ქვეყნებში ხდება ICT სერვისების ექსპორტი? (2023 წელი)



2023 წელს,
IT სერვისების ექსპორტის 61%
ამ 5 ქვეყანაზე მოდიოდა

IT სექტორის ხელშემწყობი ფაქტორები

IT სერვისებზე მოთხოვნას აძლიერებს ინტერნეტის მომხმარებელთა კვლავ მზარდი რაოდენობა

მოსახლეობის 86% იყენებს ინტერნეტს (+11% 2020 წელთან შედარებით)

მოსახლეობის 81% ფლობს სმარტფონს, ხოლო 86% იყენებს მას

ინტერნეტის მომხმარებელთა წილი მოსახლეობაში



* სტატისტიკა გაანგარიშებულია 6 და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის

ინტერნეტზე, სმარტფონებსა და კომპიუტერებზე მაღალი წვდომის პირობებში მომხმარებელთა უმეტესობა ინტერნეტს თითქმის ყოველდღიურად იყენებს, რის შედეგადაც ბაზარი გაჯერების ზღვარზეა. შესაბამისად, სამომავლოდ IT ბაზრის გაფართოების იმპულსი უფრო მეტად არსებულ მომხმარებელთა სხვადასხვა სერვისებში მეტი ჩართულობიდან უნდა წამოვიდეს.

IT სექტორის ხელშემწყობი ფაქტორები

ინტერნეტის გამოყენება იზრდება ხარისხობრივაღაც, ციფრულ ტექნოლოგიებს უფრო ხშირად იყენებენ ეკონომიკური ხასიათის საქმიანობისთვის

5 წელიწადში, 334 ათასი ადამიანით გაიზარდა ელექტრონული კომერციის მომხმარებელთა* რაოდენობა

*15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანები, ვინც პირადი მიზნებისთვის დისტანციურად შეუკვეთა პროდუქტი/მომსახურება.

ბოლო 5 წელიწადში

44%-ით გაიზარდა ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობა**

4.4-ჯერ გაიზარდა ციფრული გადახდების მოცულობა***

ელექტრონული კომერციის ბაზრის მოცულობა საქართველოში (მლნ აშშ დოლარი)**



ციფრული სამომხმარებლო გადახდების ბაზარი საქართველოში (მლრდ აშშ დოლარი)



**ფიზიკური პროდუქტის საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვისას მიღებული შემოსავალი B2C სექტორში

***გადახდები ინტერნეტის და mPOS-ის მეშვეობით. არ მოიცავს B2B ტრანზაქციებს და ტერმინალურ გადახდებს. მონაცემები გაანგარიშებულია მიმდინარე გაცვლითი კურსის მიხედვით.

IT სექტორის ზრდა

IT კომპანიები, ბრუნვის ზრდის პარალელურად აფართოებენ დასაქმებასაც

რამდენჯერ გაიზარდა 2019-2023 წლებში?



IT ბიზნეს სექტორის ბრუნვა



IT ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობა

2024 წლისთვის,
მხოლოდ IT ბიზნეს კომპანიები
13 ათას ადამიანს ასაქმებენ.

2024 წელს, 54 ახალი შპს დარეგისტრირდა IT მიმართულებით.

IT სექტორის ზრდა

IT სექტორი შრომა-ინტენსიურია, დასაქმებულთათვის გაღასახღელი ანაზღაურება მთავარი ხარჯია კომპანიებისთვის

დასაქმებულთა ანაზღაურების ფარდობა ბრუნვასთან, IT ბიზნეს სექტორში



*2024 წელი წარმოდგენილია სამი კვარტლის მდგომარეობით

2023 წელს, IT ბიზნეს კომპანიებმა დაახლოებით 1.2 მილიარდი ლარი გადაუხადეს დასაქმებულებს, მათი ბრუნვის 57%

AI-ის ინტეგრაციის შესაძლო გავლენა



IT ერთ-ერთი მთავარი სექტორია, სადაც AI სწრაფად ინტეგრირდება. სექტორის წარმომადგენელთა აზრით, ამან შესაძლოა შეამციროს სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდის ტემპი, თუ არა მთლიანად მოთხოვნის მოცულობა.

წყარო: გაანგარიშებები საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, ინტერვიუები სექტორის წარმომადგენლებთან.

IT სექტორის ზრდა

IT სექტორში, ხელფასები არამხოლოდ მაღალია, ასევე შედარებით სწრაფად მზარდი

რამდენჯერ გაიზარდა ყოველთვიური ხელფასი* 2019-2024 წლებში?



*დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, 2024 წლის მესამე კვარტლით არსებულ მდგომარეობა

2024 წლის მესამე კვარტალში, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა IT პროფილის ორგანიზიებში შეადგინა 6973 ლარი, რაც ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე 3.4-ჯერ მეტია. აღსანიშნავია, რომ ხელფასი კიდევ უფრო მაღალია უშუალოდ ბიზნეს სექტორში მყოფ IT კომპანიებში - 7104 ლარი. ეს სტატისტიკა ეხება IT პროფილის ორგანიზაციებში დასაქმებულებს, განურჩევლად მათი პროფესიული პოზიციისა.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ლარში*, 2024 წლის მესამე კვარტალი



სექტორის წარმომადგენელთა აზრით, შემოსავლები გლობალურად კონკურენტუნარიანია, მაგრამ არა ყოველთვის საკმარისად მაღალი, ტვინების გადინების შესაჩერებლად. ზოგჯერ ადამიანები უკეთესი ანაზღაურების გამო, უცხოეთში დისტანციურად ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოებზე თანხმდებიან.

*გადასახადების ჩათვლით

IT სექტორის ზრდა

IT სექტორის კომპანიებში, ხელფასების გამოთანაბრების ტენდენციაა ქალებს და მამაკაცებს შორის

როგორია IT კომპანიებში დასაქმებული ქალების ხელფასის თანაფარდობა კაცების ხელფასთან?



2019 2024

2024 წლის მესამე კვარტალში, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კაცებისთვის 7471 ლარი, ხოლო ქალებისთვის 6026 ლარი იყო. ხელფასებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო 5 წელიწადში. IT სექტორში დასაქმებულ ქალთა ხელფასი, თითქმის 4-ჯერ გაიზარდა 2019 წლის შემდეგ (ნომინალში).

IT დასაქმებულთა პროფილი

IT პროფესიით დასაქმებული ყოველი 10 ადამიანიდან, 7 პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობს

IT პროფესიით დასაქმებულთა სტრუქტურა საქართველოში

2023 წლისთვის, უშუალოდ IT პროფესიებით საქართველოში დასაქმებული იყო 9.9 ათასი ადამიანი. მათ შორის ძირითადი და ყველაზე მსხვილი ჯგუფია პროგრამისტების, ასევე პოპულარულია შემდეგი როლები, როგორიცაა სისტემის ანალიტიკოსი, ქსელების სპეციალისტი, IT მხარდაჭერის და WEB ტექნიკოსები.

შენიშვნა: მოცემული სტატისტიკა არ მოიცავს IT მასწავლებლებს/ლექტორებს და IT პროდუქტების გაყიდვის მენეჯერებს.

წყარო: ავტორის გაანგარიშებები ეყრდნობა საქსტატის “შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის” 2019-2023 წლების მონაცემთა ბაზას.

IT დასაქმებულთა პროფილი

IT პროფესიით დასაქმებაში ქალთა წილი კვლავ მცირეა, მაგრამ მზარდი



IT პროფესიით დასაქმებულთაგან, ყოველი მეოთხე ქალია

2023 წელს 600-ზე მეტი ქალით გაიზარდა IT დასაქმება და დასაქმებულთა 24%-ს შეადგენენ, რაც წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ზრდაა.



წყარო: ავტორის გაანგარიშებები ეყრდნობა საქსტატის “შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის” 2019-2023 წლების მონაცემთა ბაზას.

IT დასაქმებულთა პროფილი

IT კვლავ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული სფეროა - დასაქმებულთამედიანური ასაკი მხოლოდ 28 წელია



ყოველი მესამე IT დასაქმებული 24-დან 27 წლამდეა

2023 წლისთვის, უშუალოდ IT პროფესიებით საქართველოში დასაქმებულთა საშუალო ასაკი აღემატებოდა მედიანურ ასაკს და შეადგენდა 32 წელს, რითაც ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული დასაქმების მიმართულებაა ბიზნეს სექტორში. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა თითქმის მესამედი 26 წელზე მცირე ასაკისაა.

IT დასაქმებულთა პროფილი

IT პროფესიონალები დღეს სხვადასხვა ინდუსტრიებში გვხვდებიან -მათი მხოლოდ მესამედი მუშაობს IT კომპანიებში

IT პროფესიებით დასაქმებულთა განაწილება, 2023 წელი

ორგანიზაციის სტატუსის მიხედვით



ინდუსტრიის მიხედვით



2023 წლისთვის, კერძო სექტორი IT პროფესიონალების უმსხვილესი დამსაქმებელია. IT კომპანიების გარდა, მათი მსხვილი დამსაქმებელები არიან სხვა ICT ორგანიზაციები, განათლების და ფინანსების სექტორი.

წყარო: ავტორის გაანგარიშებები ეყრდნობა საქსტატის “შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის” 2019-2023 წლების მონაცემთა ბაზას.

IT დასაქმებულთა პროფილი

IT სფეროში ფორმალური განათლება არ არის გადამწყვეტი -დასაქმებულთა უმეტესობას დიპლომი სხვა პროფესიაში აქვს, ვიდრე IT-ში

IT პროფესიებით დასაქმებულთა განაწილება განათლების მიმართულებების მიხედვით, 2023 წელი



2023 წლისთვის, IT პროფესიებით დასაქმებულთა თითქმის ნახევარს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული სხვა სფეროში. მეორეს მხრივ, IT განათლების მქონეთა შორის 40%-ს გააჩნია მაგისტრის ან დოქტორის დიპლომი.

სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კურსდამთავრებულებს ხშირად პრაქტიკული გამოცდილება არ გააჩნიათ, რაც კომპანიებს აიძულებს მნიშვნელოვანი

IT დასაქმებულთა პროფილი

IT პროფესიებით მუშაობა პრესტიჟულია, თუმცა არა მარტივი

საქართველოში, IT პროფესიებით დასაქმებულთა...

31%	პერიოდულად მუშაობს შაბათს-კვირას
27%	მუშაობს საშუალოდ კვირაში 40 საათზე მეტს
16%	პერიოდულად მუშაობს საღამოს ან ღამის საათებში*

* საღამოობით (19:00-23:00 საათებში) ან ღამით (23:00-06:00 საათებში)

სფეროს წარმომადგენლების თქმით, იმ პრაქტიკას, რომ სამუშაო დღე გვიან იწყება, დროის მართვაზე უარყოფითი ზეგავლენა აქვს.

IT დასაქმებულთა პროფილი

IT სფერო ციფრული ხასიათისაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მუშაობს დისტანციურად

IT პროფესიებით დასაქმებულთა განაწილება სამუშაო პირობის მიხედვით, 2023 წელი



IT პროფესიებით დასაქმებულთა 93% ურბანულ დასახლებებში ცხოვრობს

2023 წლისთვის, IT პროფესიებით დასაქმებულთა 22% სამუშაო დღეების მინიმუმ ნახევარს სახლიდან მუშაობდა. მიუხედავად ციფრული კომპონენტისა, პოტენციური სამუშაო ძალა IT სფეროსთვის მჭიდროდ კონცენტირირებულია ურბანულ დასახლებებში.

დისტანციურად მუშაობაზე მოთხოვნის ძირითადი ფაქტორები საქართველოში



IT სექტორში, დისტანციური მუშაობის პოპულარობამ პიკს კოვიდ პანდემიის პერიოდში მიაღწია. ახლა ზოგიერთი სამსახური სრულად ბრუნდება ოფისში. სფეროს წარმომადგენლების თქმით, ოფისში მუშაობა დიდწილად უფრო ეფექტიანია, მაგრამ საცობები, სახლიდან მუშაობის კომფორტი და დისტანციურ სამუშაოთა ალტერნატივები დამსაქმებლებს აიძულებს, დაუშვან დისტანციური და ჰიბრიდული რეჟიმები.

წყარო: ინტერვიუები სექტორის წარმომადგენლებთან, ავტორის გაანგარიშებები საქსტატის "შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის" 2019-2023 წლების მონაცემთა ბაზაზე.

რა არის DIGITAL ECOSYSTEM DIGEST?

Digital Ecosystem Digest არის ყოველკვარტალური ელექტრონული კვლევითი ანგარიში, რომელიც გამოიცემა BTU-ს მეწარმეობისა და კვლევების ცენტრების ინიციატივით.

ანგარიში მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: AI, სტარტაპები ციფრულ ბიზნესში, ელექტრონული კომერციის ბაზრები, ციფრული პლატფორმები (B2B, B2C, C2C), ფინტექ ტექნოლოგიები და ა.შ.

ანგარიშის მიზანია როგორც არსებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ასევე ახალი პრაქტიკული ცოდნის შექმნა ციფრული ეკონომიკის შესახებ.

პერიოდულად კვლევითი ანგარიშის შექმნაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა მკვლევარი. მიმდინარე გამოცემის ავტორია BTU-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი - ცოტნე ჟღენტი.

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

2025